



➤ სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება შემთხვევას, როდესაც შპს „X“ მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით

ანოტაცია
„უცხოური საწარმოსაგან მიღებული დივიდენდის განაწილება“ №2628
სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს რეზიდენტი საწარმოს მიერ დამფუძნებელ ფიზიკურ პირზე დივიდენდის განაწილებისას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, საქართველოს რეზიდენტი კომპანიის - შპს „X“-ის 100%-იან წილს ფლობს ფიზიკური პირი. ამავდროულად, შპს „X“-ს საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფუძნებული აქვს შვილობილი კომპანია. 2017 წლის განმავლობაში შპს „X“-ს მიღებული აქვს გაუნაწილებელი მოგება სულ 300 000 ლარი, მათ შორის:

- შვილობილი კომპანიისგან დივიდენდის სახით - 200 000 ლარი;
- საქართველოში საქმიანობიდან - 100 000 ლარი.

შპს „X“-მა 2018 წლის განმავლობაში გაანაწილა 2017 წელს მიღებული მოგება შემდეგი სახით:

- აპრილის თვეში - 150 000 ლარი;
- მაისის თვეში - 70 000 ლარი;
- ივნისის თვეში - 80 000 ლარი

საწარმოს აღნიშნულ ოპერაციებზე მოგების გადასახადში არ მოუხდენია საგადასახადო ანგარიშგება.

სსკ-ის 98¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განაწილებულ მოგებად არ ითვლება საწარმოს მიერ უცხოური საწარმოსგან (გარდა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისა) მიღებული დივიდენდის განაწილება. ამავდროულად, მე-5 ნაწილის მიხედვით, სსკ-ის 98¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის იდენტიფიცირებისათვის ითვლება, რომ საწარმოს მიერ დივიდენდის განაწილებისას პირველ რიგში ეს თანხა გაიცემა.

სსკ-ის 130-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეზიდენტი საწარმოს მიერ ფიზიკური პირისთვის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ან არარეზიდენტი საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდები იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5-პროცენტიანი განაკვეთით

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე:

- აპრილის თვეში შპს „X“-ს არ წარმოეშობა მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი. ამასთან, დამფუძნებელზე განაწილებული დივიდენდი დაექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას 5%-პროცენტიანი განაკვეთით. დამფუძნებლის მიერ ხელზე ასაღები თანხა შეადგენს 142 500 ლარს ($150000 - (150000 * 5\%)$).

- მაისის თვეში შპს „X“-ს წარმოეშობა მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი. დასაბეგრი თანხა შეადგენს 20 000 ლარს. საწარმოს შესაბამის საანგარიშო პერიოდში უნდა დაერიცხა და ბიუჯეტში გადაეხადა მოგების გადასახადი 3529 ლარის ოდენობით ($20000 / 0,85 * 15\%$). დამფუძნებელზე განაწილებული დივიდენდი დაექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას 5%-პროცენტიანი განაკვეთით. დამფუძნებლის მიერ ხელზე ასაღები თანხა შეადგენს 66 500 ლარს ($70000 - (70000 * 5\%)$).

- ივნისის თვეში შპს „X“-ს წარმოეშობა მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი. დასაბეგრი თანხა შეადგენს 80 000 ლარს. საწარმოს შესაბამის საანგარიშო პერიოდში უნდა დაერიცხა და ბიუჯეტში გადაეხადა მოგების გადასახადი 14 117 ლარის ოდენობით ($80000 / 0,85 * 15\%$). სსკ-ის 130-ე მუხლის გათვალისწინებით, დამფუძნებლის მიერ ხელზე ასაღები თანხა შეადგენს 76 000 ლარს ($80000 - (80000 * 5\%)$).

პირს დაეკისრება საგადასახადო ვალდებულებები მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებში და დეკლარაციაში თანხის შემცირებისათვის, პირს დაეკისრება ჯარიმა სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.